პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 10 (251)
პარასკევი,
24
აპრილი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

# დიდი ლენინის ანდერძით

22 აპრილს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 89-ე წლისთავი.

ლენინის სახელი, მისი უკვდავი საკაცობრიო იდეები ცოცხლობენ ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში და შეგნებაში, აღაფრთოვანებენ ჩვენს ხალხს სულ ახალ-ახალი, დიადი ისტორიული საქმეებისათვის. ლენინიზმი ცოცხლობს ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხთა შესანიშნავ გამარჯვებებში, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მძლავრ გაქანებაში.

ლენინის მსოფლიო სახელი და დიდება განუწყვეტლივ იზრდება იმიტომ, რომ საქმე, რომელსაც თავისი სიცოცხლე შესწირა გენიალურმა მოაზროვნემ და უშიშარმა პროლეტარულმა რევოლუციონერმა, სამართლიანი საქმეა. ლენინმა თავისი სიცოცხლე, თავისი ტიტანური გონებისა და ორგანიზატორული ტალანტის მთელი ძალა ბოლომდე მოახმარა კაპიტალისტური ჩაგვრისაგან, სიღატაკისა და უმეცრებისაგან მუშათა კლასის, მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლას, ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ახლა, როდესაც ჩვენ შევუდექით კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას, განსაკუთრებული სიცხადით გვეხატება ლენინის მეცნიერული გამჭრიახობა და რევოლუციური გამბედაობა, მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის გიგანტური საზოგადოებრივ-გარდამქმნელი როლი.

რევოლუციამდელი რუსეთი ასეული წლებით ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო ამჟამად საბჭოთა კავშირს სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი უკავია ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთი იყო ევროპის რეაქციის ბურჯი, ახლა კი საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მთელ პროგრესულ კაცობრიობას და საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობის მაგალითს აძლევს ყველა ხალხს. მეფის რუსეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი მოკლებული იყო ელემენტარულ ცოდნას, ახლა კი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების მხრივ საბჭოთა ხალხი წინ უსწრებს მსოფლიოს ყველა ხალხს.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ, რაც სსრ კავშირის ხალხებმა განახორციელეს, არსებითად მეოთხედი საუკუნის (მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი) განმავლობაში, ცხადყოფს სოციალისტური წყობილების უსაზღვრო შესაძლებლობებს, მის გადამწყვეტ უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ უცილობლად სწორი და ძლევამოსილია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომლითაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ხელმძღვანელობენ მთელ თავიანთ საქმიანობაში.

ავითარებს რა თანამედროვე მრეწველობას, სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის სოფლის მეურნეობას, ახორციელებს კულტურულ რევოლუციას, აშენებს ახალ სახელმწიფოს, ამყარებს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას ადამიანთა შორის, კომუნისტური პარტია განუხრელად ასრულებს დიდი ლენინის ანდერძს. არ არსებობს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების ისეთი დარგი, რომელიც წინასწარ მთელი ათეული წლებით არ იყოს გაშუქებული ლენინის აზრის სინათლით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ასაბუთებდა რა ჩვენი პარტიის პროგრამის, ლენინი ამბობდა: „...როცა ვიწყებთ სოციალისტურ გარდაქმნებს, ნათლად უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე მიზანი, რომლისკენაც, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ეს გარდაქმნანი, სახელდობრ მიზანი კომუნისტური საზოგადოების შექმნისა...“ და პარტია არასოდეს არ ივიწყებდა ამ მთავარ მიზანს, მას უქვემდებარებდა მთელ თავის მუშაობას. ახლა ჩვენ უშუალოდ შევუდექით ასეთი საზოგადოების შექმნას. კომუნიზმისათვის ბრძოლის გაშლილი ლენინური გეგმა შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში. ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაუდო ლენინის აზრები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, ახალი საზოგადოების მშენებელთა კომუნისტურად აღზრდის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმა, რომლის საკონტროლო ციფრები პარტიის XXI ყრილობამ დაამტკიცა, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ძლიერების თითქმის ერთიორად გადიდებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნას, უმაგალითოდ ფართო საბინაო და კულტურულ მშენებლობას, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ უფრო აყვავებას.

შვიდწლედის შესრულების შედეგად გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგმება სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. 1965 წლის დამლევს საბჭოთა კავშირი ზოგიერთი უმთავრესი სახეობის პროდუქციის აბსოლუტური წარმოების მხრივ გაუსწრებს, ხოლო სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ მიუახლოვდება სამრეწველო წარმოების ახლანდელ დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება მთლიანად და ერთ სულ მოსახლეზე ჩვენში ამ დროისათვის გადააჭარბებს შეერთებული შტატების თანამედროვე დონეს. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე მსოფლიოში. სწორედ ეს არის შვიდწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

შვიდწლიან გეგმაში გამოხატულია ყველა საბჭოთა ადამიანის საარსებო ინტერესები. სწორედ ამიტომ მხურვალე მოწონება ჰპოვა მან მასებში და წარმატებით ხორციელდება.

ამ უკანასკნელ წლებში კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოსასწორებლად. მან ლენინური პირდაპირობით გამოავლინა წინათ დაშვებული შეცდომები და გაბედულად განახორციელა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომლებმაც უკვე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს საბჭოთა სოფლის მწარმოებლური ძალების შემდგომ განვითარებაზე, კოლმეურნე გლეხობისა და მთელი ხალხის ცხოვრებაზე. ეს ღონისძიებანი, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო დიდ ნაყოფს მოიტანენ უახლოეს მომავალში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი გლეხობა სულ უფრო ფართოდ ებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ხორცის, რძის, კარაქის, პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ. იგი ისწრაფვის თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს საერთო სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ლენინური იდეებით ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საგარეო პოლიტიკაში, სხვა ქვეყნების ხალხებთან ურთიერთობაში. ეს არის მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეები. სოციალიზმისათვის უცხოა დაპყრობითი ომები. იგი არის მშვიდობიანი შრომისა და ხალხთა მეგობრობის წყობილება. ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულმა ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ უდიდესი პატივისცემა მოიპოვა დედამიწის ასობით მილიონ ადამიანთა შორის. მათ სჯერათ საბჭოთა კავშირისა და მხურვალედ უჭერენ მხარს ყველა მის ნაბიჯს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

აღნიშნავს რა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღეს, საბჭოთა ხალხების მრავალეროვანი მეგობრული ოჯახი მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად, მთელი მსოფლიოს მოწინავე მუშებთან ერთად ცხადყოფს თავის ერთგულებას მარქს—ენგელს—ლენინის პროლეტარული დროშისადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი.

ა. ნაგაჩიკოვი



## ლენინი

ვიცით სახელი
ყველა დიდი სიმაღლის მქონე.
ეს სახელია ჩვენი რწმენა —
ლენინი დიდი,
ხალხის სიცოცხლის საუკუნო
გული და ღონე,
თვით უკვდავებას რომ უკვდავყოფს
სახელი იგი!
დიდ ქარიშხლებში მისებრ მტკიცედ
მუხაც არ მდგარა,
მის ხმასთან მტრების ჩლუნგდებოდა
მახვილი ბასრი.
იყო და არის და იქნება
მარად და მარად
დიდ სიმაღლეთა ამაღლება —
ლენინის აზრი.
იგი პირველი გადაუდგა
საკუთარ მკერდით
გლეხის ბეჭებზე ულმობელად
მოქნეულ სახრეს,
ყველა ნიაღვარს,
ყველა გრიგალს გზა ჩაუკეტა,
სამყარო ახლად
მან დაასახლა.
გაგვიყოლია დიდ მიზნისკენ
ჯანსაღი მუხლით,
ჩვენც კომუნიზმის მშენებელთა
სახელი გვშვენის.
ანცყარი ვართ მძლავრ მუხებად
ფესვმაგარ მუხის
და ეს მუხაა ლენინი ჩვენი.
ხსენებაც არ გვსურს
დამლუპველი ომის და ცრემლის,
ჩვენ ვადლევრძელებთ მეგობრობას
ხმების შერჩევით.
ნაპერწკლები ვართ ძმობისა და
მშვიდობის გრდემლის
და ეს გრდემლია ლენინი ჩვენი.
მისი მზეობა —
სამყაროის ლამაზი სრულქმნა.
სახელი მისი —
ყველა დროის სიცოცხლის ზვირთი.
დიდი ლენინი —
დედამიწის მარადი სუნთქვა —
აი, როგორ გვწამს ლენინი დიდი.

ალაზა ხაიაური

## ლენინის დღეებში

### ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 89-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

21 აპრილს, საღამოს 7 საათზე უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 89-ე წლისთავისადმი.

მოხსენება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა პროფ. ნ. ტყეშელაშვილმა.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

### ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 89-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო დიდი ლენინის დაბადების 89-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის სამ სტენდზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის სხვადასხვა დროს გამოცემული გენიალური შრომები საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე. აქვეა წიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები, ფოტოსურათები, რომლებიც ნათლად ასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის — ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

გამოფენას ინტერესით ათვალიერებენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები და უნივერსიტეტის სტუმრები.

# ფესტივალი - ახალგაზრდობის ზეიმი

## სტუდენტთა მეორე საუნივერსიტეტო გაზაფხული

გაზაფხულმა საბოლოოდ იძალა. ჰაერი თაფლისა და გამოღვიძებული ფიჭვის სურნელებით გაიჟღინთა. ეს ყვავილობისა და სიმწვანის დრო ალბათ უკეთესია უკეთესთაგან.

გაზაფხული შეიჭრა ყველგან და ყველაფერში. მას არ უყვარს სიმარტოვე და მოწყენილობა. გაზაფხული შთაგონება და აღმაფრენაა. გაზაფხულზე არ შეიძლება გულგრილი იყო საგნებისადმი, მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი.

ზეიმის დროა გაზაფხული.

## ფესტივალი დაიწყო

უნივერსიტეტის ეზოში უჩვეულო ხალხმრავლობაა. გაზაფხულისა და ახალგაზრდობის ზეიმია.

პირველი კორპუსის მთავარი ფასადის წინ პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან საქვეყნოდ სახელგანთქმული აკადემიკოსები და პროფესორები, მასწავლებლები და მოწინავე სტუდენტი ახალგაზრდები.

იხსნება მეორე საუნივერსიტეტო ფესტივალი.

პროფ. ს. ძლენტი საზეიმო ვითარებაში დაწყებულად აცხადებს ფესტივალს და უსურვებს ახალგაზრდობას წარმატებებს მეცნიერებაში, შრომაში, დასვენებაში.

დიდ ხმებად გადმოსკდა „საზეიმო", უნივერსიტეტის სიმღერის ანსამბლისა და ორკესტრის შესრულებით.

საზეიმო შეკრების პრეზიდიუმმა მიიღო უნივერსიტეტის ფიზკულტურელთა პარადი. ფესტივალის ალამი აღმართეს საუნივერსიტეტო პირველ ფესტივალში გამარჯვებული ფაკულტეტების წარმომადგენლებმა.

უნივერსიტეტის სპორტულ მოედნებზე, სააქტო დარბაზში, აუდიტორიებში, ყველგან მღინარება მიეცა ახალგაზრდობის სიხარულს, სიყვარულს, სიცოცხლეს...

## პირველი დღე

სააქტო დარბაზი...

სცენაზეა უნივერსიტეტის სიმღერის ანსამბლი (ხელმძღვანელი — ჩიკაშუა, დირიჟორი — კახიანი). ანსამბლმა მაღალი გემოვნებით შეასრულა სიმღერები: „საზეიმო", „არაგვი" და „ჩა სჯობია".

მაგრამ უნივერსიტეტის სიმღერის ანსამბლის გამოსვლა, ასე ვთქვათ, უკონკურსო იყო. წინ იყო ფაკულტეტების შემოქმედებითი ძალების ჩვენება, რომელთაც განსჯიდა და შეაფასებდა ფესტივალის ჟიური და მომთხოვნი მაყურებელი — სტუდენტი ახალგაზრდობა.

ვაყურეთ კონცერტის მიმდინარეობას: საღამო გახსნეს ისტორიკოსებმა.

ნონიკაშვილმა, ჯანჯღავამ და ყალიჩავამ წარმოადგინეს ჩეხოვის „ხელის თხოვნა" (დადგმა რეზო გამცემლიძისა).

სტუდენტმა ბენიძემ წაიკითხა მუხრან მაჭავარიანის ლექსი „საბა". ბენიძეს კარგი, ომახიანი ძლერადობის ხმა და ლექსში გამოხატული ტკივილების გადმოცემის უნარი აქვს. თუმცა მან შთამბეჭდავად წაიკითხა მთელი ლექსი, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ: მას არ ჰქონდა ლექსი საფუძვლიანად დაზეპირებული, რის გამოც ზოგჯერ არასწორად წარმოთქვამდა ცალკეულ სიტყვებსა და სტრიქონებს.

კოლორიტული და მოქნილი იყო ინ-



**სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ასრულებს მასიურ ქართულ ცეკვას „ფერხულს".

პერსონაჟების სამოქმედო ოთახის სადად და დეტალებით ჩვენებამ ხელი შეუწყო მსახიობთა სიტყვის-წინ წამოწევას. თუმცა შევნიშნავთ, რომ ჩეხოვისათვის ნიშანდობლივი სიტყვის წინ წამოწევა და ნაკლები თამაში მაინც ვერ შეძლეს მსახიობებმა. შეიძლება დამდგმელს შევედავოთ პიესის შერჩევაშიაც.

რონ მეტრეველმა მაყურებელთა ტაში დაიმსახურა გ. ჯაფარიძის ლექსის — „საქართველოს" წაკითხვით.

მეღუდუკეთა ტრიომ შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური მელოდია.

იურიდიული ფაკულტეტის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ციცუაშვილი) შეასრულა ხალხური სიმღერები „სუფრული" და „დიამბეგო". პირველს ამათგან აშკარად აკლდა დამუშავება.

კარგი იყო მოშიაშვილის შესრულებით „სატრფიალო" — ფანდურზე.

წარმატება ხვდა ცეკვებს — „ქართული" და „მთიულური".

დური ცეკვა სტუდენტ ზერაგიას შესრულებით.

ვოკალურმა კვინტეტმა კარგად შეასრულა ინგლისური სიმღერა „გამოდით ჭალაქში".

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტები მეტად ღარიბი რეპერტუარით გამოვიდნენ. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა წარმოდგენილი ნომრების გემოვნებით შესრულებას.

მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭა ენრიკო ჯაშმა, რომელმაც პროფესიული ოსტატობით შეასრულა ნემორინოს არია დონიცეტის ოპერიდან „სიყვარულის სასმელი".

სტუდენტმა მირცხულავამ ფორტეპიანოზე შეასრულა შოპენის მეთორმეტე ეტიუდი.

შესანიშნავი იყო სტუდენტების—ნაფეტვარიძისა და პირველის მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული".

ვოკალურმა ჯგუფმა შეასრულა ზუ-

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი!რაბ ხელაიას „არ მსურს უშენობა".

## გაგვახარეს ფიზიკოსებმა

აი, ხალხი, რომლებმაც იმუშავეს პასუხისმგებლობით, სიყვარულით მოეკიდნენ საქმეს და ნაყოფიც მოიმკეს. მათივე ტერმინებით რომ ვთქვათ, მათ დაალექტროვეს, დამუხტეს დარბაზი. ავილოთ თუნდაც მათი „დავლური", ეს იყო შესანიშნავი ქორეოგრაფიული დადგმა, რომელსაც მოცეკვავეთა მასიურობა და დახვეწილი ილეთები ლამაზ სანახაობად ხდიდნენ.

მიუხედავად სცენის სიპატარავისა, მათი მასიური ცეკვები „გინდაგან" „სიმდი" უზადოდ და ტაშის ქვეშ მიდიოდა. თუ იქნებოდა დაწესებული პრიზი საუკეთესო „ქართულისათვის", ჩვენის აზრით, მას ფიზიკოსთა წყვილი — მჭედლიშვილი და ვაშაკიძე მიიღებდნენ. მოწონება დაიმსახურა გელოვანის მიერ შესრულებულმა ესპანურმა სიმღერამ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა კუკური თურქაძეს (იმიტაცია).

შეიძლება ვუსაყვედუროთ ფიზიკოსთა საესტრადო ორკესტრს, რომ მის რეპერტუარში ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულ მელოდიებს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მათ ლაღად, თავისუფლად, პროფესიონალური ოსტატობით ეჭირათ თავი სცენაზე.

საუკეთესო კონფერანსიე აგრეთვე ფიზიკოსებს ჰყავდათ — ეს იყო ვლადიმერ ბარხუდაროვი. ასეთ ნიჭიერ კონფერანსიეს შეიძლება და უნდა ჰქონდეს საკუთარი რეპერტუარი. მაგრამ მისი პროგრამა მაყურებლისათვის სხვადასხვა საესტრადო კოლექტივების კონფერანსიეებისგანაც ცნობილი იყო.

ფესტივალის პირველი დღის გმირი — ეს ფიზიკის ფაკულტეტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი იყო.

წინაა მეორე დღე, ვნახოთ ვინ რას გვეტყვის!

## მეორე დღე

ფილოლოგებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ახსოვდათ მათი წარმატებები I ფესტივალზე.

მეორე დღის საღამო მათ გახსნეს.

იარუსიდან დაიჭექეს საყვირებმა და საზეიმო განწყობილება შეიქმნა. სცენისა და დარბაზის მოხდენილი განათებით ფილოლოგებმა საღამო ეფექტურად დაიწყეს და ლევან კავილაძის სიტყვებში — „პირველობას არავის დავუთმობთო", ეჭვი არავის შეჰპარვია. (თუმცა, სჯობდა თავმდაბლობა).

მაინც, ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება იყო.

სცენაზეა მომღერალთა გუნდი, რომელმაც პოპულარული სიმღერა „გაზაფხულდა" საკმაოდ კარგად შეასრულა, მაგრამ ამას ველარ ვიტყვით მეორე სიმღერის („ქუჩუნა წვიმა მოვიდა") შესახებ, რომელიც მეტად უფერულად შესრულდა. ამ სიმღერის მომზადება სამიოდე დღეში, რასაკვირველია, უკეთესად არც შეიძლებოდა.

რამდენიმე კარგი სიმღერა შეასრულა ვოკალურმა კვარტეტმა. ოღონდაც ხალხური „შენ ხარ ვენახი" მათი შესრულებით არადამაკმაყოფილებელი იყო.

ღრმა ლირიზმით, შესანიშნავად შეწყობილი ხმებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მოწერელიასა და ჭელიძის მიერ სალამურების თანხლებით შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა.

მოცარტის ოპერა „დონჟუანიდან" ლაპორელოს არია შეასრულა ომარ ჩიტაიამ.

კარგი იყო ქსილოფონზე შესრულებული ნაწარმოებები.

ორკესტრს ვერ დავემდურებით.

ფილოლოგებმა, რატომღაც, საჭიროდ არ ცნეს ქორეოგრაფიული ნომრებიც წარმოედგინათ.



**ფესტივალს მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. ეს პატარა გოგონაც ჩვენი ძვირფასი სტუმარი იყო. შეხედეთ, რა სულგანაბული შეჰყურებს იგი სცენაზე გაჩაღებულ სტუდენტთა საზეიმო სანახაობას.**

კონფერანსიების—ლევან კავილაძისა და თამაზ გვაზავას სკეტჩი უმიზნო და იუმორს მოკლებული იყო.

რატომ არ გამოვიდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — ახალგაზრდა პოეტები საკუთარი ლექსებით? იქნებ, ისინი ფიქრობენ, რომ ეს ფესტივალის საქმე არაა?!.

## ნაყოფიერი შრომის შედეგი

თავი ისახელეს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებმა. კარგი იყო მომღერალთა გუნდი. მათ განსაკუთრებული უშუალოებით შეასრულეს სპარსული სიმღერა.

კარგი იყო ცეკვები.

მათ პროგრამაში ჩანდა მათი საქმიანობა, მათი სწავლისა და ცხოვრების კუთხე, რომ ისინი სწავლობენ და დაინტერესებული არიან აღმოსავლეთის დიდი და თავისებური კულტურით. ფესტივალის ნამდვილი მშვენება იყო მეძმარიაშვილი, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებდა ხალხურ და სახასიათო ცეკვებს.

კარგი თარგმანები წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ვახუშტი კოტეტიშვილმა.

აღმოსავლეთმცოდნეების გამოსვლა გვარწმუნებს, რომ მცირერიცხოვან კოლექტივსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს და აჯობოს კიდეც სტუდენტთა დიდი კონტინგენტის ფაკულტეტებს, თუკი იქნება მონდომება, კოლექტიურობა, თვითშემოქმედებისადმი პატივისცემა და სიყვარული...

ეკონომიური ფაკულტეტის მომღერალთა გუნდმა რამდენიმე ხალხური სიმღერა შეასრულა კარგად. კარგი იყო მათი ცეკვები, დეკლამაცია. სკეტჩები მაღალი იუმორისტული ნიჭით წარმოადგინეს, მაგრამ პროგრამის სიძველე ნაკლებ ეფექტს ახდენდა (ეს საერთოდ დამახასიათებელია ჩვენი ესტრადისა).

ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა კარგად შეასრულეს ცეკვა „სამაია", რამდენიმე ხალხური სიმღერა და ცეკვა.

დაგვიანებული მაყარი იყო კუკური მაღრაძე, რომელიც წინადღით ისტორიკოსებთან ვერ გამოვიდა. მან კარგად შეასრულა მალხაზის გამოსამშვიდობებელი არია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი".

ღარიბი პროგრამით წარმოდგა ქიმიის ფაკულტეტი, ხოლო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის თვითმოქმედება სავსებით ვერ ვიხილეთ. რატომ?..

რამდენადაც ვიცით, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები ემზადებოდნენ ფესტივალისათვის და არც თუ ცუდად. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ქებაც კი იყო დაბეჭდილი მათს შესახებ. მაგრამ ფესტივალზე ისინი ჩვენ არ გვიხილავს. ეტყობა, ქება დაუმსახურებელი იყო.

საინტერესოა რით იმართლებენ ისინი თავს?!.

**ჯუმბერ თითმერია**



**სურათზე:** ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის II საუნივერსიტეტო ფესტივალის საზეიმო გახსნა.

ფოტო ა. გემჯიანისა

# ფოტოაპარატით ფესტივალზე



დაიწყო საუნივერსიტეტო ფესტივალი — სტუდენტთა ზეიმი. აბა რა ზეიმი შეიძლება ქართული ჭიდაობის გარეშე! სპორტულ მოედანს ზღვა ხალხი შემოერტყა. გააჩაღეს საჭიდაო. ხალიჩაზე გამოვიდნენ სტუდენტი მოჭიდავეები.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სტუდენტების: ლაბაურისა და ბედუაშვილის შერკინების ერთ მომენტს.



**სურათზე:** დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის III კურსის სტუდენტი ენრიკო ჯაში ასრულებს ნემორინოს არიას დონიცეტის ოპერიდან — „სიყვარულის სასმელი“.



ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებმა — თ. გოლეთიანმა (მარჯვნივ) და ლ. ნიჟარაძემ მოხდენილად შეასრულეს ცეკვა „ოსური“.



**სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის საესტრადო ორკესტრი ასრულებს ერთ-ერთ ნომერს.

ფოტოები ა. გემჯიანისა

# თბილისის ზღვის მიდამოების გამწვანებაზე

მართლაც ზღვა ხალხს მოეყარა თავი თბილისის ზღვის მიდამოებში კვირას, 12 აპრილს. დედაქალაქის მშრომელები, მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები მოვიდნენ აქ შაბათობაზე, მოვიდნენ, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ თბილისის ზღვის ახლომახლო ტერიტორიის გამწვანების დიდ პატრიოტულსა და საშვილიშვილო საქმეში.

ვაქციოთ თბილისის ზღვა დედაქალაქის მცხოვრებთა საუკეთესო და საყვარელ დასასვენებელ ადგილად, გავაშენოთ მის სანაპიროებზე ხეხილის ბაღები, დავრგოთ რაც შეიძლება მეტი ნერგი, რომ თბილისის ზღვა მწვანე ზღვაში ჩაიძიროს — ასეთი იყო ყველას სურვილი, ვინც კი ბარით თუ თოხით ხელში თხრიდა სანერგე ორმოებს, ფარავდა მათ გაფხვიერებული მიწით, ეზიდებოდა ათასნაირი ჯიშის ნერგებს, რწყავდა ახლადდარგულ მცენარეებს.

ამ დღეს სხვებთან ერთად სამუშაოდ გამოვიდნენ ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლები და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი. ისინი დილიდანვე დიდი მუყაითობით შეუდგნენ მუშაობას მათთვის მიჩენილ ტერიტორიაზე, იქ, სადაც იორი თბილისის ზღვას ერთვის.

სანიმუშოდ იმუშავეს სტუდენტებმა —ქ. ლეფონავამ, ს. ხარძეიშვილმა, გ. დონდოლაძემ და სხვ.; თანამშრომლებმა — ო. გვილავამ, ქ. ლაბარტყავამ და სხვ.

მათ მხარდამხარ მუშაობდნენ უნივერსიტეტის რექტორი გ. ძოწენიძე, პრორექტორი ს. ყლენტი, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ქანუყვაძე, მდივნის მოადგილე ი. გოქაძე, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი დოც. გ. პაატრიძე, დოც. ქ. ჯაყელი, უფრ. ლაბორანტი ვ. მამაიაშვილი, ასისტენტი ე. დიდბერიძე და სხვ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ასობით ძირი ატმის, ქერამისა და აკაციის ნერგი დარგეს, მორწყეს და სამგორის მზემოკიდებულები დაბრუნდნენ უკან იმ რწმენით, რომ გაივლის წლები და თბილისის ზღვის ნაპირებზე იშრიალებს ხშირი ტყე და გაიხარებს ხეხილის ბაღები.

დედაქალაქის მშრომელთა შაბათობები თბილისის ზღვის მიდამოების გასამწვანებლად გრძელდება. ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივმა კვლავაც უნდა ისახელოს თავი და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ამ დიდ თაოსნობაში.

# ფილოსოფიის კათედრის სამეცნიერო სესია

6—7 აპრილს ჩატარდა ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელზეც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. დიალექტიკური უარყოფის ბუნება (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ლუტიძე), 2. აუცილებლობა და შემთხვევითობა (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კალანდარიშვილი), 3. შესაძლებლობა და სინამდვილე (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ასათიანი), 4. გრძნობადი აღქმის როლის შესახებ შემეცნებაში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შუქზე (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჭელიძე), 5. აქტუალური უსასრულობის აბსტრაქციის რეალობის შესახებ (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ადეიშვილი), 6. თანამედროვე რევიზიონისტების სოციოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკა (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. გონაშვილი), 7. გ. პლეხანოვის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შეფასება ვ. ი. ლენინის მიერ (მომხს. დოც. ვ. კილაძე), 8. ბელინსკის ეთიკური შეხედულებანი (მომხს. დოც. შ. ბიწაძე), 9. მარქსამდელი ათეიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები (მომხს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. კარტოზია).

მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ფილოსოფიის ლექტორები.

სამეცნიერო სესია შეაჯამა უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგემ დოც. ს. ლარცულიანმა.

**ნ. ჩუტკერაშვილი,**
დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ლაბორანტი.

# თათბირი პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ

ამ რამდენიმე ხნის წინათ უნივერსიტეტში მოეწყო თათბირი II სემესტრში ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ. თათბირს, რომელიც გახსნა პედაგოგიკის კათედრის გამგემ დოც. გ. კიკნაძემ, ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში პროფ. გ. ხავთასი, პედაგოგიკის კათედრის წევრები და მეთოდისტები. თათბირზე მოხსენება 1958—59 სასწავლო წლის II სემესტრში ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის შედეგების შესახებ წაიკითხა დოც. ალ. გორგაძემ.

პედაგოგიკის კათედრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, პედაგოგიური პრაქტიკისათვის მზადება დროულად დაიწყო. ჯერ კიდევ იანვრის თვეში მეთოდისტებმა, პედაგოგიკის კათედრასთან ერთად, საბაზო სკოლებში გაანაწილეს სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად. ეს პრაქტიკა 7 თებერვალს დაიწყო და 21 მარტს დასრულდა. პედაგოგიური პრაქტიკა ჩატარდა „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონიდან გამომდინარე ამოცანების გათვალისწინებით და ამიტომ ფაკულტეტების მეთოდისტები და სტუდენტები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. ამან კი წელს მისი უკეთ ჩატარება განაპირობა.

პედაგოგიური პრაქტიკა ჩატარდა ისტორიის, ფილოსოფიის, მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, იურიდიულ (ფსიქოლოგიის განყოფილება) ფაკულტეტებზე. პრაქტიკა სულ გაიარა 426 სტუდენტმა. პრაქტიკის საერთო შედეგები უთუოდ დამაკმაყოფილებელია.

სტუდენტთა უმეტესობა, აღნიშნავს მომხსენებელი, წარმატებით გაეცნო სასკოლო მუშაობის საკითხებს და ყოველმა მათგანმა გარდა ექვს-ექვსი საცდელი გაკვეთილისა ორ-ორი აღმზრდელობითი ღონისძიებაც ჩაატარა. თვითეული პრაქტიკანტი სტუდენტი სკოლაში ყოველდღიურად მუშაობდა არა უმეტეს ექვსი საათისა.

სტუდენტთა დიდი ნაწილი კარგად ემზადებოდა გაკვეთილისათვის და წესიერად ადგენდა გეგმა-კონსპექტს. მის მიერ გადაცემულ გაკვეთილს ესწრებოდა მეთოდისტი, მასწავლებელი და პედაგოგიკის კათედრის წარმომადგენელი. გადაცემული გაკვეთილი იმ დღესვე ირჩეოდა.

სტუდენტი-პრაქტიკანტები განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ საბაზო სკოლებში. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც 24-ე საშუალო სკოლაში სასწავლო დიდაქტიკური მასალები დაამზადეს. ასე, მაგალითად, სტუდენტმა ლეჟავამ დაამზადა საუცხოო მაკეტი „პირველყოფილ ადამიანთა სადგომი“ და სხვა თვალსაჩინო ხელსაწყოები. ასევე მუშაობდნენ ფილოლოგიისა და მექანიკა-მათემატიკის პრაქტიკანტი სტუდენტები, მაგრამ მიღწევებთან ერთად ზოგიერთ მცირეოდენ ნაკლსაც ჰქონდა ადგილი.

პედაგოგიური პრაქტიკის დროს ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი დირექტორი ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდა ამ საქმეს და დამაკმაყოფილებლად არ ატარებდა სტუდენტებთან მუშაობას (მაგ., მე-60 და 47-ე საშ. სკოლების დირექტორები — მ. სიხარულიძე და ა. გაჩეჩილაძე). ასევე, ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელიც კარგად არ მუშაობდა სტუდენტებთან, მაგალითად: 23-ე საშ. სკოლაში კლასის ხელმძღვანელმა ლუბა კვინიკაძემ არც კი იცოდა, თუ რომელი სტუდენტი იყო მიმაგრებული მასთან.

ცუდად მუშაობდნენ პრაქტიკანტ სტუდენტებთან ზოგიერთ სკოლაში პიონერხელმძღვანელებიც (მაგ., მე-60, 37-ე და 47-ე საშ. სკოლებში).

იყო ისეთი კურიოზიც, როცა პრაქტიკანტი სტუდენტი გეგმა-კონსპექტის გარეშე ატარებდა საცდელ გაკვეთილს (მაგ., ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ტრახტბროდმა და როსტოვსკაიამ გეგმა-კონსპექტების გარეშე გადასცეს საცდელი გაკვეთილები და, გასაგებია, რომ ამიტომ ეს გაკვეთილები თავიანთი დაბალი პედაგოგიური დონით ხასიათდებოდნენ).

პედაგოგიური პრაქტიკის შედეგების შესახებ თათბირზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დოც. ჟორდანიამ მეთოდისტებმა — კობახიძემ, ჯაფარიძემ, პარკაძემ, იმერლიშვილმა, რომლებმაც რიგ სხვა საკითხებთან ერთად დააყენეს ჩვენი კაბინეტების სასწავლო დიდაქტიკური ხელსაწყოებით და მეთოდური ლიტერატურით შევსების საკითხი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა დოც. გ. კიკნაძემ.

**ლ. დოლიძე,**
პედაგოგიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 14 აპრილის ნომერში, I გვერდში მოთავსებულ ინფორმაციაში —„რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრების ღია სხდომა“ უკანასკნელი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: სხდომაზე გოგოლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების კითხვით გამოვიდა დოცენტი საველე აბულაძე.

# საუნივერსიტეტო სპარტაკიადა

## კალათბურთი

### კვლავ პირველ ადგილზე

ამ ბოლო წლებში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელები უნივერსიტეტის ჩემპიონობას არავის უთმობენ. ახლახან გამართულ შეჯიბრებაშიც ჩემპიონობისათვის ბრძოლის განმავლობაში ... გამოვიდნენ კალათბურთის მოედანზე აღნიშნული ფაკულტეტის სპორტსმენები. თავიანთ ქვეჯგუფში პირველი ადგილის მოპოვების შემდეგ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელები ფინალში ეკონომიური ფაკულტეტის გუნდს შეხვდნენ. მათ მთელი შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და კვლავ ჩემპიონები გახდნენ.

მესამე ადგილზე გამოვიდა ფიზიკის ფაკულტეტის კალათბურთელთა გუნდი.



**სურათზე:** ფინალური შეხვედრა კალათბურთში. სახიფათო მომენტი ეკონომისტების ფართან.

ფოტო ა. გემჯიანისა

## ფეხბურთი

უკვე ჩატარდა უნივერსიტეტის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 11 ფაკულტეტმა, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად.

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა შეხვედრა ისტორიისა და ფიზიკის ფაკულტეტების ფეხბურთელთა შორის, რომელიც შედგა 12 მარტს. მეტად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ისტორიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების ფეხბურთელთა შეხვედრაში ანგარიში ისტორიკოსებმა გახსნეს, მიუხედავად ამისა ბიოლოგიის ფაკულტეტმა შეძლო თამაში თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა (2:1). ბიოლოგებმა თავის ქვეჯგუფში ღირსეულად მოიპოვეს I ადგილი.

მეორე ქვეჯგუფის გუნდებს შორის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფეხბურთელებმა ყველა შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს და მოიპოვეს ფინალში პირველი-მეორე ადგილისათვის თამაშის უფლება.

29 მარტს შედგა ფინალური შეხვედრები. სრულ 3 საათზე მოედანზე გამოდის ბიოლოგიისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების გუნდები. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის გუნდს ავადმყოფობის გამო აკლდა თავდასხმის ლიდერი ნ. ლექავა, თამაშის პირველ ნახევარში მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მოწინააღმდეგეს (1:0 გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდის სასარგებლოდ), მეორე ნახევარში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფეხბურთელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და თამაში მოიგეს დიდი ანგარიშით — 8:2, რითაც მოიპოვეს უნივერსიტეტის X სპარტაკიადისა და სტუდენტთა ფესტივალის სპორტული თამაშების ჩემპიონის სახელი.

**ბ. ჭელიძე,**
უფროსი მსაჯი.

## ველოსპორტი

ველოსიპედისტთა შეჯიბრებამ სასურველი სიურპრიზი მოუტანა მექანიკა-მათემატიკის სპორტულ კოლექტივს. აღნიშნული ფაკულტეტის ველოსიპედისტ ვაჟთა და ქალთა გუნდი საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა. მეორე ადგილზე არიან ფიზიკის ფაკულტეტის ველოსიპედისტები, მესამეზე — ბიოლოგები.

პირად პირველობაში ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ნ. კლიმენსკი, მეორე ადგილი წილად ხვდა ლ. მაილოვას, მესამე — ს. სავჩენკოს.

ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. მამაიაშვილი, 2. ყ. გეგეჭკორი, 3. ს. ჯაველიძე.

## ძალოსნობა

დამთავრდა უნივერსიტეტის X სპარტაკიადაში შემავალი შეჯიბრება ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 74 ძალოსანმა — უნივერსიტეტის 9 ფაკულტეტიდან. გუნდურ პირველობაში X სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელწოდება მოიპოვა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ფიზიკის, მესამეზე კი იურიდიული ფაკულტეტის ნაკრები გუნდები.

პირად პირველობაში, რომელშიც 74 ძალოსანი მონაწილეობდა X სპარტაკიადის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**მჩატე წონაში** სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელი კვლავ მოიპოვა ა. კაზაროვმა (ფიზიკის ფაკ.), რომელმაც სამჭიდის საერთო ჯამში უჩვენა 205 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა შ. ინასარიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.) — 192,5 კგ, მესამეზე კი ისტორიის ფაკ. სტუდენტი გ. გოქაძე.

**ქვემსუბუქ წონაში** სპარტაკიადის ჩემპიონი კვლავ გახდა ა. გურგენიშვილი (ბიოლოგიის ფაკ.) — 227,5 კგ, მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ჰანუყვაძე (ეკონომიური ფაკ.) — 190 კგ, მესამეზე კი გ. გელოვანი (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.).

**მსუბუქ წონაში** ყველაზე მეტი (20) კაცი იღებდა მონაწილეობას და მათგან სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა ვ. დემეტრაძემ (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) — 250 კგ. ამავე შედეგით მეორე ადგილზე გამოვიდა გასული წლის სპარტაკიადის ჩემპიონი ა. დათიაშვილი (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.). მესამეზე გ. ჩიკვილაძე (ფილოლოგიის ფაკ.) — 225 კგ.

**ქვესაშუალო წონაში** 14 მონაწილე იყო. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა დ. ყოჩიაშვილი (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) — 280 კგ, მეორე ადგილზე გამოვიდა ო. გაბრიჭიძე (ეკონომიური ფაკ.) — 255 კგ, მესამეზე — დ. რაფავა (იურიდიული ფაკ.).

**საშუალო წონაში** ჩემპიონის საპატიო სახელი სსრკ სპორტის ოსტატმა ტ. წერალოვმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) მოიპოვა. მისი საერთო შედეგი სამჭიდში 335 კგ-ს შეადგენს. მეორე ადგილზე გამოვიდა ა. გემჯიანი (ფიზიკის ფაკ) — 315 კგ. მესამეზე კი ზ. ჯმუხაძე (იურიდიული ფაკ.) — 257,5 კგ.

**ქვემძიმე წონაში** სპარტაკიადის ჩემპიონი კვლავ ო. ართილაყვა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) გახდა — 297,5 კგ, მეორე ადგილზე გამოვიდა გ. ბერძენაძე (ეკონომიური ფაკ.) — 240 კგ. მესამეზეა ვ. ბარხუდაროვი (ფიზიკის ფაკ.) — 245 კგ.

**მძიმე წონაში** სპარტაკიადის ჩემპიონისა და აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო სახელი კვლავ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ჩადუნელმა მოიპოვა (სამჭიდის საერთო ჯამით — 350 კგ.). მეორე ადგილზე გამოვიდა შ. სირბილაძე (იურიდიული ფაკ.) მესამეზე კი ხაჰაპურიძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.).

შეჯიბრების მსვლელობის დროს ძალოსნებმა დაამყარეს თხუ ახალი რეკორდები. სახელდობრ: საშუალო წონაში სპორტის ოსტატმა გ. წერალოვმა აკრა 140 კგ. და მოხსნა სპორტის ოსტატ გ. კოშაძის მიერ დამყარებული რეკორდი, რომელიც 1951 წლიდან დღემდე მოუხსნელი იყო. გ. ჩადუნელმა მძიმე წონაში აიტაცა რა 120 კგ. 5 კილოგრამით გააუმჯობესა გასულ წელს დამყარებული თავისივე რეკორდი.

**ქ. ზაუტაშვილი,**
უფროსი მასწავლებელი, სსრკ სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

## ფრენბურთი

### გაიმარჯვეს ფიზიკოსებმა

ქალთა შორის შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 ფაკულტეტი (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა გუნდის გამოყვანა ვერ შეძლო).

კარგი მომზადებული გუნდები წარმოადგინეს ფიზიკის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ფილოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტებმა.

ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა ფიზიკის ფაკულტეტის ფრენბურთელთა გუნდმა და უნივერსიტეტის X სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრენბურთელები. III ადგილი ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა დაიკავა.

ვაჟთა შორისაც ფიზიკის ფაკულტეტის ფრენბურთელები გახდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები. II ადგილი წილად ხვდათ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრენბურთელებს, მესამე — იურისტებს.

## კრივი

საინტერესო ბრძოლები ნახეს მაყურებლებმა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაზე კრივში.

პირველობისათვის ყველაზე ორგანიზებულად იბრძოლეს მომავალმა იურისტებმა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი. მესამე ადგილი დაიკავეს ფილოლოგიის ფაკულტეტის მოკრივეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით X სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ა. აბზიანიძე, ვ. შარაშენიძე, ნ. შენგელია, ფ. ურუშაძე (ყველანი იურიდიული ფაკულტეტიდან), სურგულაძე (ფილოლოგიის ფაკ.), გუნია (ფიზიკის ფაკ.), რ. აკოფოვი (ფიზიკის ფაკ.) და ს. სვანიძე (ეკონომიური ფაკ.), ყიფიანი და კალანდაძე (ფიზიკის ფაკ.).



**სურათზე:** სპარტაკიადის ფინალი კრივში. ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ I საშუალო წონითი კატეგორიის მოკრივეები, ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი — კალანდაძე (მარცხნივ) და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი თურმანიძე. გაიმარჯვა კალანდაძემ.

### მონაწილეობდა 600-ზე მეტი სპორტსმენი

საუნივერსიტეტო სპარტაკიადაში ყველაზე მასიური შეჯიბრება გეზრბენში ჩატარდა. მდინარე ვერის მიდამოებში 600-ზე მეტი სპორტსმენი სტუდენტი იბრძოდა უნივერსიტეტის ჩემპიონობისათვის. შეჯიბრების დებულების მიხედვით გამარჯვება მიეკუთვნებოდა იმ ფაკულტეტს, რომელიც ყველაზე მეტ მონაწილეს გამოიყვანდა და საუკეთესო ტექნიკურ შედეგებს უჩვენებდა. დებულების ეს მოთხოვნილება ყველაზე კარგად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სპორტულმა კოლექტივმა დააკმაყოფილა. მეორე ადგილი დაიკავეს ფიზიკოსებმა. მესამე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

პირად პირველობაში ვაჟთა შორის უნივერსიტეტის ჩემპიონი გახდა სტაიერი მ. ჰინჭარაული (ეკონომიური ფაკ.).

ქალთა შორის 500 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ზ. სეფისკვერაძემ (ეკონომიური ფაკულტეტი).

## ცურვა

### ამხანაგური შეხვედრა

ამას წინათ ქ. სტალინირში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის I ნაკრები და სტალინირის „სპარტაკი“.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ, მეორე ნახევარში სტუდენტებმა უფრო გააძლიერეს წინააღმდეგობა და გაზარდეს ანგარიში ორამდე. თამაშის დამთავრებამდე სტალინირის „სპარტაკმა“ შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა და, ამგვარად, ეს საინტერესო ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა უნივერსიტეტის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.



**სურათზე:** X საუნივერსიტეტო სპარტაკიადის ჩემპიონები — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფეხბურთელები (მარჯვნიდან მარცხნივ) — ა. ჰიჭინაძე (გუნდის კაპიტანი), თ. გორდეზიანი, ვ. ინწკირველი, გ. თოდუა, ზ. შანიძე, დ. შაქარიშვილი, თ. კალანდაძე, მ. ძორელაშვილი, ვ. ალფაიძე, გ. გელოვანი და ჯ. კეკელია.

ფოტო ზ. რუსიასი

რედაქტორი ის. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500. უე 02431.